საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/33 “ 5 ” აპრილი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ბ. შონიას თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2021 წლის 24 მარტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. ინიცირების ფარგლებში 2021 წლის 26 მარტს მიღებულ იქნა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბადრი შონიას განცხადება.

ბადრი შონიას აქვს მოსამართლედ მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, მათ შორის აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც, კერძოდ იგი იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე სხვადასხვა დროს მას დაკისრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბადრი შონია დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე